(დანართი №1)

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სამართლის მიმართულებით შესარჩევ კანდიდატთა დარგობრივი კომისიის

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

მოქმედებს „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 სექტემბრის №107/2017 დადგენილებით „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის დანართი №92-ის, სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე ვაკანტური ადგილების განსაზღვრის შესახებ რექტორის 17.06.2019 წლის №147/01-01 ბრძანების დანართი №5 და ამ რეგლამენტით.

1. კონკურსის მიზანია თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურაში ჩასარიცხი კანდიდატების გამოვლენა.
2. კონკურსის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, დამტკიცებულია კომისია შემდეგი შემადგენლობით:
   2.1. კომისიის წევრები: ირმა ხარშილაძე (კომისიის თავმჯდომარე სამართლის მიმართულებით), მაია კოპალეიშვილი, მაია ივანიძე, ნანა ჭიღლაძე, თამარ ზარანდია, გიორგი მახარობლიშვილი, დავით ბოსტოღანაშვილი, ვასილ გონაშვილი, ირა აქუბარდია, ლელა ჯანაშვილი, მორის შალიკაშვილი, ეკა ზარნაძე,
   2.2. კომისიის მდივანი: თამთა ანთიძე.
3. დარგობრივი კომისია მუშაობს სამართლიანობის, მიზანშეწონილობის და კანდიდატთა თანაბარ მდგომარეობაში ჩაყენების პრინციპის გათვალისწინებით.
4. დარგობრივი კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.
5. საკონკურსო კომისიის ყოველი გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით.
6. კომისია კონკურსანტის შეფასებას ახდენს 100 ქულიანი სისტემის საფუძველზე. შეფასების სისტემა მოიცავს: 91% და მეტი – ფრიადი; 81 - 90% – ძალიან კარგი; 71 - 80% – კარგი; 61 - 70% – დამაკმაყოფილებელი; 51 - 60% – საკმარისი; 50% და ნაკლები – ჩაიჭრა.
7. ზეპირი გასაუბრების კრიტერიუმებია: 1) თემის აქტუალობა, 2) ლოგიკური აზროვნების უნარი, 3) გადმოცემის უნარი, 4) ქცევის, მეტყველების მანერა.

8. ამ რეგლამენტის მე-8 პუნქტში ჩამოყალიბებული კრიტერიუმები შემდეგნაირად განისაზღვრება: ***თემის აქტუალობა*** – კონკურსანტის არგუმენტირებული ხედვა, თუ რამდენად აქტუალურია მისი სადისერტაციო თემა, რა მეთოდებს გამოიყენებს კვლევისას, რა შედეგების მიღწევას ვარაუდობს; ***ლოგიკური აზროვნების უნარი*** – შედგება თუ არა კონკურსანტის საუბარი ლოგიკურად ერთიმეორესთან კავშირში მყოფი თემებისაგან, არის თუ არა საუბრის თემა ნათლად წარმოდგენილი; ***გადმოცემის უნარი*** – ახდენს თუ არა კონკურსანტი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის დემონსტრირებას, არის თუ არა საუბარი დამაჯერებელი; ***ქცევის, მეტყველების მანერა*** – არის თუ არა საუბარი გრამატიკულად გამართული და დამაჯერებელი, იყენებს თუ არა კონკურსანტი იურიდიულ აკადემიურ ლექსიკას, მიმდინარეობს თუ არა დიალოგი კოლეგიურ ატმოსფეროში, როგორია აუდიტორიასთან კონტაქტი.
9. ამ რეგლამენტის მე-8 პუნქტში აღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით დარგობრივი კომისია კონკურსანტის შეფასებას ახდენს და ადგენს თითოეული კრიტერიუმის შეფასების ჯამს. გამარჯვებულია ის კონკურსანტი, რომელიც გასაუბრების შედეგად ყველაზე მაღალ შეფასებას მიიღებს სადოქტორო პროგრამაზე მისაღები რაოდენობის გათვალისწინებით.
10. პრეზენტაციისათვის 10 წუთი და შეკითხვებისათვის კომისიას კითხვისათვის ეძლევა 5 წუთი;
11. კონკურსის მიმდინარეობის და შედეგების შესახებ დარგობრივი კომისიის მდივანი ადგენს ოქმს, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. კომისიის მდივანი კონკურსანტთა შეფასებაში მონაწილეობას არ იღებს.

კომისიის თავმჯდომარე ირმა ხარშილაძე

კომისიის წევრი მაია კოპალეიშვილი

კომისიის წევრი მაია ივანიძე

კომისიის წევრი		ნანა ჭიღლაძე
კომისიის წევრი		თამარ ზარანდია
კომისიის წევრი		გიორგი მახაროზლიშვილი
კომისიის წევრი		დავით ბოსტოღანაშვილი
კომისიის წევრი		ვასილ გონაშვილი
კომისიის წევრი		ირა აქუბარდია
კომისიის წევრი		ლელა ჯანაშვილი
კომისიის წევრი		მორის შალიკაშვილი

კომისიის წევრი ეკა ზარნაძე

კომისიის მდივანი თ. ანთიძე თამთა ანთიძე